საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №55

ქ. თბილისი "16" 09 2004

2003 წლის 24 დეკემბრის №0122 გარემოსდაცვითი ნებართვის ბათილად ცნობის თაობაზე

2003 წლის 24 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ „სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმიტედის" სახელზე გაცემულ იქნა გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 (საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინერატორის" მეშვეობით შემდგომი დაწვის თაობაზე). სამინისტროს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნებართვა ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი და ქველა შესაბამისი საქმიანობა ნარჩენების მართვის ჩათვლით ხორციელდება „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ინვესტორი") მიერ, ხოლო „სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმიტედი" წარმოადგენს ინვესტორის კონტრაქტორს, რომელიც მილსადენის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს ინვესტორის დაკვეთის საფუძველზე.

2002 წლის 30 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების" საფუძველზე, სამინისტრომ ინვესტორის სახელზე გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა №0011, რომელიც მოიცავს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტთან დაკავშირებულ ქველა იმ საქმიანობას, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი „ბუნებრივ და სოციალურ-გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით", მათ შორის ნარჩენების დასაწვავი დანადგარის (ინსინერატორი) ფუნქციონირებას. შესაბამისად, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტზე გარემოსდაცვითი ნებართვით გათვალისწინებული ღონისძიებები", რომლებიც №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ითვალისწინებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს და არ ითვალისწინებს რაიმე დამატებითი ნებართვის გაცემის აუცილებლობას.

ამრიგად, გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 გაცემული იქნა №0011 გარემოსდაცვითი ნებართვით უკვე ნებადართულ საქმიანობაზე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო

ხელშეკრულების, „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თვით №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

ბათილად იქნეს ცნობილი 2003 წლის 24 დეკემბერს სამინისტროს მიერ „სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმიტედზე“ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა №0122.

1. „სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმიტედს“ ეცნობოს, რომ უფლებამოსილია, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისა და „ინსინერატორის“ მეშვეობით შემდგომი დაწვის საქმიანობა განახორციელოს 2002 წლის 30 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის თაობაზე გაცემული №0011 გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე.

2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს „სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმიტედისათვის“ გაცნობისთანავე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7), „სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმტედის“ მიერ გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურის უფროსის მოადგილის გ. ჟორჟოლიანის მოხსენებითი ბარათი;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი.

ლებანიძე
ინისტრი

ეგ ზავნება:

„სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეშენალ ლიმიტედს“,
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურს.